



შემადგენლობა:

Polygonum Cuspidatum -ის ფესვების ექსტრაქტი 5 მლ, რომელიც შეიცავს ტრანს-რესვერატროლს, ფიტოალექსინების და სხვა ფენოლური ანტიოქსიდანტების კონცენტრატს.

მოქმედების მექანიზმი:

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი წარმოადგენს **ფლავონოიდებს**, პოლიფენოლური ნაერთების **სტილბენების (რესვერატროლი)** და სხვა ფიტოალექსინების მელატონინის (ამინომჟავა ბუნებრივ კონცენტრატს. ფლავონოიდები ხასიათდებიან ანტიმიკრობული, ანტიოქსიდანტური, სიმსივნის საწინააღმდეგო, გეროპროტექტორული (დაბერების საწინააღმდეგო), ანტიდიაბეტური და იმუნომოდულაციური მოქმედებით. **რესვერატროლი** ხასიათდება ძლიერი: ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, ჰიპოქოლესტეროლემიური, ჰიპოტენზიური და კარდიოპროტექტორული მოქმედებით. ორგანიზმში რესვერატროლი მეტაბოლიზდება ღვიძლის ციტოქრომული ფერმენტების (P-450) სისტემით, რის შედეგადაც წარმოიქმნება ნივთიერება პიცეატანოლი, რომელსაც აქვს სიმსივნის ძლიერი საწინააღმდეგო (ახდენს სიმსივნური უჯრედების აპოპტოზის სტიმულაციას) მოქმედება. რესვერატროლს აქვს უჯრედშიდა ანტიოქსიდანტური მოქმედება ააქტიურებს რა sirtuin-1 (სირტუინ-1) (SIRT1), ნიკოტინამიდ-ადენინ-დინუკლეოტიდის (NAD+) - დამოკიდებულ ჰისტონდეაცეტილაზას, რომელიც მონაწილეობს მიტოქონდრიულ ბიოგენეზში პეროქსისომის პროლიფერატორ-G აქტივიზირებული რეცეპტორების კოაქტივატორი-1a (PGC-1a) და FOXO (forkhead box) აქტივობაში. რესვერატროლის ანტიდიაბეტური, ნეიროპროტექტორული და ანტიდიაბეტური (სიმსუქნის საწინააღმდეგო) მოქმედებები შეიძლება გაშუალებული იყოს SIRT1 აქტივაციით. რესვერატროლს აქვს ანტივირუსული მოქმედება მარტივი ჰერპესის ვირუს-1 (HSV2) და HSV2 წინააღმდეგ. იგი ასევე ავლენს სიმსივნის საწინააღმდეგო და ფიტოესტროგენულ ბიოლოგიურ აქტივობებს.[1] როგორც ცნობილია, რესვერატროლი ახანგრძლივებს სიცოცხლეს მრავალ სახეობაში რამდენიმე ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური რეაქციების შუამავლობით.[2]

ჩვენების რეკომენდაცია:

“სულაჟერის” გამოყენება რეკომენდებულია:

- ანტიპროლიფერაციული და პროაპოპტოზური საშუალების სახით
- ქიმიოთერაპიულ საშუალებებთან კომპლექსური გამოყენებისათვის მათი ტოქსიკური გვერდითი მოვლენების შესამცირებლად
- ინფექციური დაავადებების დროს სტანდარტული თერაპიის პარალელურად და შემდგომ რეკონვალესცენციის პერიოდში
- ღვიძლის ფუნქციების გასაუმჯობესებლად მისი დაზიანების შემთხვევაში (ვირუსული, მედიკამენტოზური, ალკოჰოლური)
- სისხლის არტერიული წნევის რეგულაციისათვის
- ნახშირწყლოვანი ცვლისა და სისხლის ლიპიდური სპექტრის გასაუმჯობესებლად
- ძვალ-სახსროვანი სისტემის ფუნქციის გასაუმჯობესებლად
- იმუნორეზისტენტობის ასამაღლებლად ფილტვების ქრონიკულად მიმდინარე სპეციფიკური ინფექციების (მაგ; ტუბერკულოზური ინფექცია, ქრონიკული ბაქტერიული და ვირუსული ინფექციები) დროს



უკუჩვენებები:

- ორსულობა
- ლაქტაცია
- მომატებული მგრძნობელობა პრეპარატის შემადგენელი კომპონენტების მიმართ

გვერდითი მოვლენები:

იშვიათად თავის ტკივილი. იშვიათად ალერგიული რეაქციები კანზე გამოწყარის სახით, ძილიანობა.

განსაკუთრებული მითითებები:

სულაჟერი სიფრთხილით ინიშნება ბრონქული ასთმის მძიმე ფორმების დროს.

მიღების წესი:

სულაჟერი მიიღება 1 ან 2 ამპულა 5 მლ 3-ჯერ დღეში, პერორალური გზით (დასალევი ფორმით) ჭამიდან 1 საათის შემდეგ. ერთი კურსი შეადგენს 3-7 დღეს. კურსის დღეების რაოდენობა დგინდება ინდივიდუალურად დაავადების ფორმისა და სიმძიმის მიხედვით

აფთიაქიდან გაცემის პირობები:

გაიცემა ურეცეპტოდ.

გამოშვების ფორმა:

ამპულა ექსტრაქტის შიგთავსით 5მლ ეტიკეტირებული 10 ცალი, მოთავსებული ქალაქის კოლოფში.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, გრილ, ბავშვებისგან მიუწვდომელ ადგილას, ვარგისიანობის ვადა 2 წელი.

ლიტერატურა:

1. Therapeutic potential of resveratrol: the in vivo evidence Baur JA and Sinclair DA Nature Reviews Drug Discovery 5(6), 493-493, (2006)
2. Resveratrol improves health and survival of mice on a high-calorie diet Baur JA, et al. Nature 444(7117), 337-337, (2006)
3. Cancer Chemopreventive Activity of Resveratrol, a Natural Product Derived from Science 10 Jan 1997: Vol. 275, Issue 5297, pp. 218-220
4. The Potential Use of Resveratrol for Cancer Prevention, 2019 Dec; 24(24): 4506.

პრეპარატი წარმოებულია შპს "ბიოფარმი L" (სკ: 205 014 839)-ის მიერ, შპს სულაჟერი" (სკ: 405 448 984)-სათვის.

საქართველო, თბილისი 0131, კ. გოგიაშვილის ქ. #2.

ელ-ფოსტა: info@soulageur.com, www.soulageur.com